

**საქართველოს კონტროლის პალატიდან გაგზავნილი სარეკომენდაციო წერილები და მიღებული პასუხები  
2011 წელი**

| N | აუდიტის ობიექტი   | კონტროლის პალატის რეკომენდაციები  | სარეკომენდაციო წერილების გაგზავნის თარიღი და ნომერი მიღებული პასუხის თარიღი | გატარებული ღონისძიებების შესახებ |
|---|---|---|---|----------------------------------|
| 1 | საქართველოს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა მიერ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების აუდიტი | <p>აუდიტის შედეგად კონტროლის პალატის მიერ დაფიქსირდა უამრავი შეცდომება , სამინისტროს დაწესებულებებს და სოციალური პროგრამების სააგენტოს მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ძირითადი ყურადღება გამახვილდა : დაზღვეულთა ბაზების მიწოდების ვადების განსაზღვრაზე, მოწალაქეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მონიტორინგზე , სამართლებრივი მექანიზმის შემუშავებასადა სადაზღვევო კომპანიების მიერ ბენეფიციარებთან ხელშეკრულებების დადგენილ ვადებში გაფორმების მიზნით, შემუშავდეს საჯარო დაზღვევის ანგარიშების ერთიანი სისტემა და ფორმატი , რომელიც უნდა მოიცავდეს ყოვლისმომცველ ინფორმაციას დაზღვეულთა რაოდენობისა, მკურნალობაზე გახარჯული ხარჯებისა და კაპიტალური დანახარჯების თაობაზე, გაანალიზდეს დაზღვეულთა დაუკმაყოფილებელი განცხადებების რაოდენობა, მიზეზების მითითებით , განისაზღვროს დაზღვევის პროგრამების შესრულების ერთიანი ანგარიშების დამუშავების წესი , ანალიზის საგანი და მეთოდები, სადაზღვევო პროგრამის ეფექტიანობისა და სარგებლიანობის ძირითადი კრიტერიუმი გახდეს უმწეოთა ჯანმრთელობის მკურნალობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების დონის განსაზღვრა, შემუშავდეს ეფექტიანი საშუალებები დაზღვეულთა საინფორმაციო უზრუნველყოფის მიზნით ,სათანადო ცვლილებები შეტანილ იქნას სადაზღვევო პირობებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის ხარისხის ზრდის მიზნით, სააგენტომ უზრუნველყოს დაზღვევით გათვალისწინებული დროული და ხარისხიანი მომსახურების გაწევა, სააგენტომ გაატაროს კომპლექსური ღონისძიებები დაზღვეულთა მონაცემების საინფორმაციო - თექნოლოგიური სისტემების გასაუჯობესებლად ,რათა გასწორდეს დაზღვეულთა ბაზებში ყველა ცდომილება , გამოირიცხოს გარდაცვლილთა, მოქალაქეობიდან გასული , მოქალაქეობა შეწყვეტილი პირთა ჩანაწერები , შეიმუშავოს შიდა კონტროლის პროცედურები და მექანიზმები , საჯარო დაზღვევების პროგრამების ეფექტიანად მართვის მიზნით აუცილებელია დაზღვევის განმახორციელებელ სახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია , მონაცემთა რეგულარული გაცვლა და სახელმწიფო დაზღვევის პროგრამების მართვის ერთიანი სისტემის შექმნა , აგრეთვე შესაბამისი რეგულირებების შეცვლა , რომლებიც ხელს უწყობს ორმაგი დაზღვევის მოქმედებას . უპირველეს ყოვლისა სააგენტომ უნდა შეიმუშავოს და დაადგინოს ის მაჩვენებლები , რომლითაც მომავალში შეფასდება სადაზღვევო პროგრამების მიზნების შესრულების ხარისხი,</p> | 22 ივნისი 20011 წელი  |                                  |

|   |  |  |   |   |
|---|--|--|---|---|
|   |  | <p>ამ კუთხით სააგენტომ შეიძლება გამოიყენოს კონტროლის პალატის აუდიტის ანგარიშში გამოყენებული პროგრამის ძირითადი მიზნების მიღწევისთვის გამოყენებული ხარისხის შეფასებების მეთოდები და მიდგომები როგორც მომავალში შესაბამისი ინდიკატორების დასადგენად .</p>  |   |   |
| 2 | <p>საქართველოს შრომის , ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული „ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა , ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ' უდიტი</p> | <p>აუდიტის შედეგად დადგინდა , რომ საბიუჯეტო სახსრები დაიგეგმა არასწორად , ბენეფიციართა სასარგებლოდ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები დროულად და სრულად არ იქნა ათვისებული და შეადგინა <b>2 465,3 ათასი ლარი</b> , შედეგად პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ვერ ისარგებლა <b>3500- ზე მეტმა ბენეფიციარმა</b> , ხოლო მომსახურების მომწოდებელ ორგანიზაციას ზედმეტად აუნაზღაურდა <b>14,0 ათასი ლარი</b>. რეკონენდაციები : აღნიშნული პროგრამა უნდა დამტკიცდეს საბიუჯეტო წლის დაწყებამდე , რაც ხელს შეუწყობს გამოყოფილი თანხების დროულად და სრულად დაფინანსებას , სამინისტრომ ყურადღება გაამახვილოს პროგრამით განსაზღვრული პარამეტრების ურთიერთშესაბამისობაზე , რაც ხელს შეუწყობს განსაზღვრული ამოცანების განხორციელებას , აგრეთვე გაატაროს სათანადო ღონისძიებები ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების დროულად ასათვისებლად , მინიმუმამდე დაიყვანოს აუთვისებელი თანხების ოდენობა , აღნიშნული პროგრამის წარმატებით შესრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი დროული დამტკიცება, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მომსახურებათა მკვეთრად გამოიჯვნა და დააწესოს მკაცრი კონტროლი ბენეფიციართა ორმაგი დაფინანსების პრევენციის მიზნით, სამინისტრომ უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების დროულად ჩატარება , მომსახურების შესყიდვისას გაითვალისწინოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა სამიზნე ჯგუფის ინტერესებთან , სამინისტრომ შეისწავლოს დამხმარე საშუალებების ხარისხის გავლენა როგორც პროგრამით მოსარგებლეთა დაკმაყოფილებაზე , ასევე საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად ხარჯვაზე, ხარისხიანი სავარძელ-ეტლების შექმნა , რომლებიც პროგრამის ერთ-ერთი დემონსტრირებული კომპონენტია , გრძელვადიან პერიოდში შეიძლება იყოს უფრო სასარგებლო მისი საექსპლუატაციო პერიოდის გათვალისწინებით , სამინისტრომ პროგრამაში ბენეფიციარების თანადაფინანსებით ჩართვის შემთხვევაში / განსაკუთრებით კოხლეარული იმპლანტის მოთხოვნისას / გაითვალისწინოს მათი სტატუსი და სოციალური მდგომარეობა , რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი პროგრამაში ჩართვა. სამინისტრომ უნდა განსაზღვროს ბენეფიციართა სტატუსისა და კატეგორიის შეფასების კრიტერიუმები, რათა მომსახურების გარეშე არ დარჩეს არც ერთი პირი , ვინც ამას საჭიროებს, სამიზნე ჯგუფების სიზუსტის უზრუნველსაყოფად განხორციელდეს ბენეფიციართა სისტემატური მონიტორინგი, რისთვისაც საჭიროა მოსარგებლეთა შესაბამისი ბაზების ფორმირება და მართვა , შესაბამის პროგრამულ კომპონენტში უნდა გაიმთავროს ბენეფიციართა ასაკობრივი ზღვარი და კატეგორია .</p> | <p>22 ივლის 2011 წელი<br/>პასუხი მიღებულია 20.09.11</p> | <p>საქართველოს შრომის , ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ კონტროლის პალატის 25.07.11 N230/08 სარეკომენდაციო წერილის პასუხად გაცნობებთ: 1. სამინისტრო უზრუნველყოფს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის მომზადებას და მის წარდგენას მთავრობაში საბიუჯეტო წლის დაწყებამდე; პროგრამის თანხების სრულად ასათვისებლად პერიოდულად განხორციელება ხარჯების ანალიზი, ორმაგი დაფინანსების თავიდან აცილების მიზნით ამოქმედდება ვაუჩერული წესით დაფინანსების სისტენა , დაფინანსების ეს მექანიზმი და მომსახურების მიღებათა ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა პრაქტიკულად გამორიცხავს ორმაგი დაფინანსების შესაძლებლობას , კონტროლის პალატის რეკომენდაციასთან დაკავშირებით , რომელიც შეეხება ბენეფიციართა ორმაგი დაფინანსების შემთხვევებში შესაბამისი ზომების მიღების აუცილებლობას , გაცნობებთ, რომ „ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს „ ინსპექტირების ჯგუფის მიღება - ჩაბარების კტის N11-038 დასკვნის საფუძველზე 2007 წლის 1 აპრილიდან 2010 წლის 1 იანვრამდე იურიდიულ პირს „პირველი ნაბიჯი საქართველოს „ დაეკისრა ზედმეტად მიღებული თანხის - 9812,95 ლარის ბიუჯეტში ჩარიცხვა . შესაბამისი ზომები მიღებულია შესყიდვების საკითხის გაუმჯობესების მიზნით- გამარტივდა პროცედურები, ვაუჩერების დანერგვის სისტემამ აამალა მომსახურების დონე , ბენეფიციარებს მიეცა საშუალება თვითონ აირჩიონ მომსახურე ორგანიზაცია , რაც ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას. შესყიდვების ხარისხის უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მუშაობა ექსპერტებთან შესაბამისი სტანდარტების შემოღების მიზნით. მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „ ბავშვებზე ზრუნვის სტანდარტები</p> |

|  |  |   |                   |                            |   |
|--|--|---|-------------------|----------------------------|---|
|  |  | <p>სამინისტრომ დაგეგმილ კომპონენტებთან მიმართებაში გაითვალისწინოს აღნიშნული საკითხის აქტუალობა და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება , რაც ხელს შეუწყობს ბენეფიციართა ყოფითი პირობების გაუმჯობესებას და ინტეგრაციას საზოგადოებაში. ბიუჯეტის ფორმირებისას გაითვალისწინოს ბენეფიციართათვის დამხმარე საშუალებების მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობა , დაგეგმოს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები პროგრამის მართვის სისტემატური მონიტორინგისთვის , გაანალიზოს გაწეული მომსახურების შედეგები და მინიმუმამდე დაიყვანოს თანხების არაეფექტიანად ხარჯვის რისკები.</p> | <p>25.01.2010</p> | <p>1<br/>5.04.10461/01</p> | <p>დამტკიცდა „ ბავშვებზე ზრუნვის სტანდარტები“ ა სევე იგეგმება მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურების სტანდარტების შემუშავება ; შეიცვალა მიდგომა სავარძელ- ეტლების შესყიდვასთან დაკავშირებით , აქცენტი გაკეთდა ხარისხზე და განსხვავებულ ფასებზე , მიმდინარე წლიდან ეს მომსახურებაც ხორციელდება ვაუჩერული წესით; კოხლერული იმპლანტის შემთხვევაში უკვე ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილია 100-% დაფინანსებით; გაძლიერდა მონიტორინგი პროგრამების შესრულებაზე , მკაცრად იქნა განსაზღვრული თითოეული ქვეპროგრამის ბენეფიციართა კატეგორიები , რეკომენდაციების შესაბამისად ყურადღება გამახვილდება დამხმარე საშუალებათა მიწოდებაში არსებული დეფიციტის შემცირებაზე კოხლერულ იმპლანტზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად 2010 წლის ბოლოს შექმნილ იქნა 26, ხოლო მიმდინარე წელს მას დაემატა 50 იმპლანტის შესაძენი თანხა ; სახელმწიფო პროგრამის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად წელს დაგეგმილია შესაბამისი შესყიდვების განხორციელება , ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს 2009, 2010 და 2011 წლების პროგრამების ეფექტიანობის შეფასება , ამასთან ხორციელდება პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშგების სისტემის სრულყოფა / სამინისტროს პასუხს თან ახლავს სარეკომენდაციო წერილში ასახული რეკომენდაციების აღსრულებისათვის მიღებული ზომებისა და გასატარებელი ღონისძიებების გეგმა/</p> |
|--|--|---|-------------------|----------------------------|---|